ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი 1918 წ.

დასაბეჭდი მასალები მიიღება „სოციალისტ-ფედერალისტის" რედაქციაში, ყოველ-დღე, დილის 10 ს.-დან 12-მდე და საღ. 6—8-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები. ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. „სოციალისტ-ფედერალისტი"-ს რედაქცია.

ფასი ტფილისში და ტფილის გარედ შვიდი შაური რკინის გზის სადგურებზე 9 შაური.

ფასი 35 კ.

№ 11 ტფილისის სოციალ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი. № 11

## სექტემბრის 15-სთვის მოწვეულია ტფილისში სოც.-ფედერალისტთა პარტიის კონფერენცია.

განსახილველი საკითხები: 1) თანამედროვე მდგომარეობა და ჩვენი მოქმედება. 2) მიწის საკითხი. 3) მოხსენებები სხვა და სხვა ადგილებიდან.

150 კაცი ირჩევს 1 წარმომადგენელს. სადაც ნაკლები აღმოჩნდება, იქ 100 ერთს. პატარა ჯგუფებს შეუძლიანთ შეერთება.

ივლისის 8-დან გამოდის ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის საორშაბათო გაზეთი

„სოციალისტ-ფედერალისტი"

რომლის მიზანიც არის: მდაბიო და სადა ენით აუხსნას საქართველოს მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეიტანოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

გაზეთი ღირს ცალი შვიდი შაური.

პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ გამოგზავნონ წერილები სოფლის და პროვინციებს ცხოვრების შესახებ, შემდეგი მისამართით ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. (ძველი სემინარია) „სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციას".

ოთხშაბათი 16 სექტემბერი

**იფხიზლეთ საქართველოსთვის.** საქართველოს ცხოვრება აჩქარებულად მიემართება. საით კენ?—ამ კითხვაზე არც კი ვფიქრობთ წესიერად. თითქოს ჩვენ გონება აგვისუყა საქართველოს დამოუკიდებლობამ. ფიქრმა ნების-ყოფაც მოგვიღუნა, და ჩვენს მკლავებში სიზანტის სისხლი-ლაბჟის. ყველაფერში ჩვენ, ქართველებს ასე გვემართებოდა და გვემართება. ჩვენ აჩაცებული ხალხი ვართ, ერთხელ ვიფეთქებთ, ავპრიალდებით, და იმ სიჩქარითვე ჩავქრებით, რა სიჩქარითაც აინთება ხოლმე ჩვენი არსება. საქართველოს დამოუკიდებლობა — დავიძახეთ, გავიხარეთ, მაგრამ შემდეგ?—ამ შემდეგისათვის ძალა აღარ გვეყო-ამას ზედ დაუმატოთ ჩვენი ხალხის გაუნათლებლობა, შეუგნებლობა, და ჩვენი მდგომარეობის სიმძაფრეს მკაფიოდ იგრძნობთ.

ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე არ არის დამაკმაყოფილებელი შედარებით. დაწყობილი მთავრობიდან და გათავებული ხალხით, ყველა რაღაც უხალისობის ტბაში ვიხრჩობით, და ჩვენი ფიქრიც იმდენად დაბლა იწევს, რავდენადაც ეს ხალხი გვეკარგება.

და აღფრთოვნება კი სწორედ დღეს არის საჭირო, დღეს, როდესაც განთავისუფლებულ საქართველოს სამრეკლოზე ვდგევართ და ქვეყანას ვამცნობთ ჩვენს არსებობას.

დღეს გვჭირდება ჩვენი მშრომელი ხალხის ანთება, მათი ეროვნული სიყვარულის აგუზგუზება, რომ ჩვენი გულების ჯაჭვით შემოვსალტოთ ჩვენი ლამაზი სამშობლო.

დღეს არის საჭირო ის ფაქიზი სიფხიზლე, რომლითაც უნდა უდარაჯოთ მშობლიურ კერას.

ეს ასეა მგრე? არა. ჩვენი ეროვნული სხეული მოშლილია. და რაც უფრო სამძიმოა, აწყობის მაგიერ ვშლით უფრო მეტად, და იმას კი არ განვიცდით, თუ რა ძნელი ასატანი იქნება საქართველოს სიკვდილი ჩვენივე ხელით.

სად არის ის რიინდული თავ-დადება, რომელიც ასე საჭიროა ყველა ახლად განთავისუფლებულ ერისთვის? არ არის. ჩვენი ერის დიდი ნაწილი ლორულად დასევია ქართულ მუხის რკოს, და უძღებობას ისე გაუტაცნია, რომ ფესვებსაც კი უღრღნის ამ მუხას.

„მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა" — ეს ხომ ჩვენი ძველი სიმღერაა, რომლითაც ჩვენს მტრებს ნიშანს უგებდით და ლოჯს ვტეხავდით. „მუმლი დაიხრჩო მუხა გადარჩაო", ასე მღეროდა ქართველი ხალხი, მუხაერისთვის თავ-დადებული და მამაცი.

დღეს კი თვით ჩვენ, თვით ქართველი ხალხი მუმლად გადაჰქცევია საკუთარ მუხას, და ესევა. და იბადება, კითხვა გაგვიძლებს მუხა? გასძლებს ქართველი ერი, რომ ასე გაუმაძღრად უჭამოთ ფესვები? ვერ გაუძლებს, და მაშინ ვაი ჩვენ.

ქართველო მშრომელო ხალხო! მეტი შეგნება და მეტი თავ-განწირულება. პუჭყიანი ჯიბე და უსინიდისო ანგარება ვერ გაგიწევთ სამშობლოს მაგიერობას. მოგების სურვილი ვერ შეგიმსუბუქებთ იმ ტანჯვას, რომელიც დაატყდება საქართველოს, თუ ჩვენი მდგომარეობა ასე გაგრძელდა.

მოითმინეთ ყველაფერი რა არის დღევანდელი გაჭირვება იმ სიხარულთან, რომელიც წილად გვერგება, თუ საქართველო გავამაგრეთ და განვამტკიცეთ?

დღეს ნუ გვთხოვთ კმაყოფილებას. დღეს ბრძოლაა გაჩაღებული, და ბრძოლის დროს ყოველ გვარ გაჭირვებას უნდა შეურიგდე.

საქართველოს გასაძლიერებლად ვიბრძვით, და ეს ბრძოლა წმიდაა და სათაყვანებელი.

ამ ბრძოლაზე ვიფიქროთ წესიერად.

გონებას ნუ აგვისუყებს საქართველოს დამოუკიდებლობა.

მკლავის ძარღვები დავჭიმოთ, თორემ მტრები გვდარაჯობენ.

საქართველოს მომავალი ჩვენზე არის დამყარებული. თუ გაუძლებთ საქართველოც აღსდგება, არა და —საქართველოს ნანგრევებზე გადაირბენს მტრის თავხედი ბედაური.

შევიყვაროთ საქართველო, თორემ სირცხვილი ამოგვწვავს თვალებს.

შევითვისოთ საქართველო, თორემ საქართველოს მოგვტაცებენ. ფხიზლად.

## დამოუკიდებლობის დასაცავად

ყოველი ჩვენი ნაბიჯის გადადგმა უნდა შევუფარდოთ შექმნილ მდგომარეობას და მომავალი მუშაობის გათვალისწინება მოვახდინოთ მისი მიხედვით. უდიდესი მოვლენა, რომელიც ხწარმოებს ჩვენს თვალ-წინ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მშენებლობაა, რასაც ჩვენის ნატვრით დიდი ხანია ნატრობდა ყოველი ქართველი. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა მოგვცემს იმ იდეალების განადგების უზრუნველყოფას, რომელიც ჩვენ გვასულდგმულებს, მხოლოდ ის მოგვცემს საშუალებას გავშალოთ ლაღათ ფრთები და განვივითაროთ ჩვენი ყოველივე ნიჭი და უნარი. კაცთა ცხოვრების უკეთ მოწყობა შეიძლება მხოლოდ ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ხალხის უზენაეს გამგებლობაში იმყოფება; სწორედ ასეთია პირობები დღეს ჩვენს სამშობლოში: მართალია, შეკვეცილია მისი დამოუკიდებლობა, რომლის შერჩენაც აგრეთვე პრობლემატიურია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენს ხელთ არის დღეს საქე ჩვენი ქვეყნისა, „ჩვენი ჩვენვე გვეყუდნის", და ჩვენზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი ბედი.

ამ რამდენიმე თვის წინად, როცა ფიზიკური განადგურებაც კი მოელოდა ქართველ ერს, მოზღვავებულ მტრების წინაშე დამდგომი ძალა კი არ მოგვეპოვებოდა, ჩვენი ერის ხელმძღვანელმა პარტიებმა, თუმცა თავის პრინციპებთან კომპრო მისზე წასვლით, მაგრამ მაინც შესძლეს გადაერჩინათ ერი, საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანიის პროტექტორატი ერთად ერთი გამოსავალი შეიქნა იმ დუხჭირ მდგომარეობიდან, რომელშიდაც საქართველო იყო ჩავარდნილი იმ ჟამად. მაგრამ ბედის სასწორი მოქანავეა. არავინ არ იცის, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე და ყოველ შესაძლებლობას ჩვენ მომზადებულნი უნდა ვხვდებოდეთ. შექმნილმა მდგომარეობამ ჩვენი ქვეყნის ამ დაგვიმტკიცა, რომ სწორი იყო ჩვენი ერის მესვეურების უკანასკნელად გადადგმული ნაბიჯი. მაგრამ ეს თავისთავად ჩვენ გვადებს ისეთ მოვალეობას, რომელსაც ვერ გავექცევით, რაც უნდა მძიმე გამოდგეს ჩვენთვის. მსოფლიო ქარტეხილის აბობოქრებული ტალღები თანდათან უახლოვდებიან ჩვენს მიწა-წყალს და ლამობენ მის საზღვრებზე შეხეთქებას; ორი დევგმირი თანამედროვე სახელმწიფოთა შორის გერმანია და ინგლისი სამკვდრო სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს და თავის მიზნის მისაღწევად არაფრის წინაშე არ დაიხევენ. მათთვის რა არის ჩვენი ბედი, ჩვენი კეთილ დღეობა, როცა მილიონობით საკუთარ ხალხს და ქონებას სწირავენ ომიანობის შეუბრალებელ ღმერთს? ისინი არ შეჩერდებიან იმის წინაშე, რომ გაგვიხადონ სათამაშო ბურთად, ოღონდ კი ლელო უკეთ გაიტანონ, არც იმის წინაშე დაიხევენ, რომ სულით-ხორცამდე გაგვცვალონ საკუთარ მიზნების განსახორციელებლად.

რადგანაც ჩვენ იმდენათ პატარა ერა ვართ, რომ საკუთარი პოლიტიკის წარმოება არ შეგვიძლია, ამიტომ მაგრად უნდა ვიდგეთ იმ მეხლზე ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაციისა, რომელშიდაც მთელი ქვეყნის გასაგონად ვაცხადებთ, რომ ნეიტრალიტეტს დავიცავთ ყველა ერისა და სახელმწიფოთა მიმართ—ეს გამოსავალი კარები გვჭირდება ყოველ შემთხვევისათვის, რადგანაც ბედის-წერა ცვალებადია, მაგრამ ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო გამოცხადება არ კმარა, უნდა გვყავდეს ძალა, რომ ნეიტრალიტეტის დაცვა შევიძლოთ და სხვის სურვილის უბრალო ასრულებად არ გადვიქცეთ არავისთვის. მტკიცება არ არის საჭირო, რომ თუ დღეს ქართველმა ერმა ვერ შესძლო თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცება, სახელმწიფოს მაღურ კალაპოტში ჩაყენება, თუ ვერ მოაწესრიგა ერის საარსებო საარსებო სხვა და სხვა საკითხები, ამას გარდა ვერ შესძლო იმ პირობითა შესრულება, რომელიც დადებულია დღეს ჩვენს კეთილის მყოფლის როლში მოვლინებულ სახელმწიფოებთან, თუ ვერ ამაღლდა თავის შემადგენელ ნაწილებში კინკლაობასა, დაუნდობლობას და შენიშვნების გრძნობების ზემოდ, ვერ უზრუნველ ჰყო რკინის გზის წესიერი მოძრაობა, ვერ მოაწესრიგა საფინანსო საქმე, ვერ ალაგმა სპეკულიაცია და აღვირ-ახსნილი სიძვირის საზღაპრო ზრდა—იმ შემთხვევაში, ისარგებლებს მითვალთვალებული უცხო ძალა, რომელიც ხელში ჩაიგდებს ჩვენი ცხოვრების სადავეებს და მოგვიჭერს ისეთ მუხრუჭს, რომელთან შედარებით ძველი ცხოვრება შეიძლება მოსანატრებელი გახდეს. უპირველეს ყოვლისა წაგვერთმევა უზენაესობა, სუვერენობა, ჩვენივე ცხოვრების გამგებლობისა, დაგვეკარგება ყოველივე სიმდიდრე, თუ რამე დარჩენილა ჩვენს გაღარიბებულ და დამშეულ სამშობლოში, ჩვენი კონკურსით, რომ, უეჭველია, ვიქნებით გამოყენებული, როგორც საომარი მასალა. დაგვადებენ სამხედრო ბეგარას და იმის მაგივრად ხომ საკუთარი დროშების ქვეშ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად სამშობლოს საზღვრებზე გვებრძოლნა, იძულებული ვიქნებით, ძაღ-ლდატანებით, როგორც მონები, ჩვენი შავბნელი ისტორიული წარსულის მგზავსად, შეიძლება, უცხო ქვეყანაში უცხოთათვის სასარგებლოთ დავღვაროთ სისხლი და ჩავყაროთ ჩვენი განაწამები ძვლები. ეს იქნება ისეთი უბედურება ჩვენი ქვეყნისა, რომელიც შეიძლება თანა მორბედი გახდეს მისი სავსებით მოსპობისა. ამის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ, თუ გავისწვავლებით მომენტის შეგნებით, და ჩვენი ყოველივე გულის თქმა იქნება იმისკენ მიმართული, რომ დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა, ამის

თვის შევქმნათ რიალური ძალაც და შეგნებაც შევიტანოთ ერში.

ამ დამოუკიდებლობის დასაცავად და ჩვენი რესპუბლიკის განსამტკიცებლად უნდა ვილონოთ ყოველივე ძლა და ამაზე ფიქრი დავუდო ქვა კუთხედათ ჩვენს პარტიულ და ეროვნულ-მოღვაწეობას. ის რაც ხელს შეუშლის ჩვენს დამოუკიდებლობას, რაც კიდევ უფრო არევს ჩვენს არეულ საქმეს ადგაგვაქანებს უფსკრულისაკენ—უნდა უარვყოთ, არ მივიღოთ, ზურგი ვაქციოთ! სამაგიეროდ, რაც გაჯანსაღებს ჩვენს გზავრებს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებს—ის უნდა გამოვძებნოთ, მივიღოთ, შევიყვაროთ და საქმედ ვაქციოთ! საერთოდ მეტი მოფიქრება, მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და მეტი აზრთა—აწონ და დაწონვა მოვახდინოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და სარევოლიუციის მიერ მინიჭებულ უფლებითა შესარჩენად და დასაცავად!

ს. აბულაძე

# ვისი პარტიაა სოციალ დემოკრატია

საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთა 84 პროცენტს მშრომელი გლეხობა შეადგენს, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო გლეხების ქვეყანაა. წმინდა წყლის პროლეტარი, როგორც არსებობენ დასავლეთ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქ ძნელად მოიპოვება და თუ არის, 5% არ აღემატება. ამის უმთავრესი და ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობას და მასთან დაკავშირებულ ალებ-მიცემობას ფეხი არ აქვს მოკიდებული, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წარმოება ოდნავ არ არის განვითარებული და არც ადგია ჯერ-ჯერობით აყვავების გზას ასეთი მოვლენა დადად უშლის ხელს ჩვენში პროლეტარიატის გაძლიერება-გამრავლებას, რადგანაც, როგორც ამბობს გამოჩენილი პოლიტიკოსი ვ. ზომბარტი, „პროლეტარიატის აღორძინება წარმოუდგენელია კაპიტალიზმის გარეშე"

აი სწორედ საქართველოში, ეს ისეთ ქვეყანაში, სადაც მსხვილი სამრეწველო ცენტრები სრულებით არ მოიძებნება და, მაშასადამე, სადაც არ არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საკუთრებას—პროლეტარიატი, სადაც ცხოვრებითა დიდ უმრავლესობას შეადგენს წვრილი მესაკუთრე—გლეხობა,—ფეხი მოიდგა და ძლიერ გაძლიერდა ისეთი პროლეტარიული პარტია, როგორც არის სოციალ-დემოკრატია. მერე რითი აიხსნება ეს?—რასაკვირველია, გლეხკაცობის უვიცობით, განსაკუთრებით მოტყუებით. ხრულად რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნებში სოც.-დემოკრატებმა „გაიმარჯვეს" და თავისი კანდიდატები გაიყვანეს. როგორც გადმოგვცემს გაზ. ერთობა", გლეხების უდიდეს ნაწილმა 94% მენშევიკებს გამოუცხადა სრული ნდობა და ღრმა პატივისცემა. თუ არა მოტყუილება, სხვა რა არის ამისი მიზეზი? ან რა არის სოც.-დემოკრატია გლეხებისათვის და რას აძლევს იგი მათ? შეუძლიან სოც.-დემოკრატებს გაამართლონ ის იმედები, რომლებსაც გლეხები მათგან მოელიან? ესე იგი გააუმჯობესონ სოფლის მუშების დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის პირობები და დაიცვან მათი ინტერესები? არის სოც.-დემოკრატია გლეხების პარტია, რომ ასე დაიმსახურა მათი მეგობრობა? ვნახოთ, გაუშინჯოთ კბილები ჩვენს „რაინდს" და ჩამოვხსნათ ის ნიღაბი, რომელიც მას პირზე აფიდეია, რომ თავისი ვინაობა არ გამოამჟღავნოს და ამით სამუდამოთ არ დაკარგოს ფართე რევოლუციონურ დემოკრატიის მისდამი კეთილი განწყობილება, მით უმეტესად დღევანდელი პოლიტიკური ბატონობა. მაგრამ სანამ ამ საკითხის განხილვას შეუდგებოდეთ, წინდაწინვე უნდა განვაცხადოთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გლეხებით გაძლიერება,-იმ გლეხებით, რომლებსაც სოც.-დემოკრატები წვრილ ბურჟუებათ ნათლავენ არის მისი პრაქტიკული გამარჯვება და თეორეტიული დამარცხება, როგორ ჩვენ აქვს ქვემოთ დავინახავთ.

პირველად სოც.-დემოკრატიული პარტია დაარსდა გერმანიაში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამ პარტიის მამათმთავრად ითვლება კარლ მარქსი (1818—1883 წ.წ.), რომლის მოძღვრებაზეა დამყარებული სოც.-დემოკრატიული მსოფლმხედველობა. მარქსის მოძღვრებას ეწოდება მარქსიზმი, მომხრებს კი—მარქსისტები. მარქსს სწამდა სოციალიზმი, როგორც იდეალი მუშათა კლასისა, და მისი თეორეტიულ დასაბუთებას მოანდომა მთელი თავისი სიცოცხლე მარქსის მოძღვრება, რომელიც შეეხება ეკონომიკას, მოკლედ გამოიხატება შემდეგში: სოციალიზმი აუცილებელი რამ მოვლენაა და ეკონომიურ განვითარებას თანდათან შეყავს კაცობრიობა მის სამეფოში. ხდება ცხოვრებაში ერთის მხრივ სიმდიდრის კონცენტრაცია (დაგროვება) და მეორე მხრით მასსის პროლეტარიზაცია. ე. ი. ერთის მხრივ მიწა, ფაბრიკა ქარხნები, მანქანები, კაპიტალი, საწარმოვო იარაღები და სხვები ჯგუფდება, გროვდება რამოდენიმე კაცის ხელში; მეორე მხრით მუშა ხალხს, მშრომელ დემოკრატიას ძალაუნებურად თანდათან ეცლება ხელიდან ყველგვარი საკუთრება და ხდება დღიურ მუშად, ბოგანოდ,პროლეტარად. უწყალოდ მდიდრდება ერთი და ორი პირი და ამ დროს ღატაკდება და ქუჩაში პურის საშოვნელად გამოდის რამოდენიმე მილიონი კაცი. ამ ერთი და ორის გამდიდრებას, მათ ხელში მთელი ავლა-დიდების, ქონება-სიმდიდრის გადასვლას მეცნიერები ეძახ ან—კონცენტრაციას, მშრომელი ხალხის გაბოგახობა-გაღატაკებას კი—პროლეტარიზაციას. მარქსმა დაასკვნა, რომ კონცენტრაცია-პროლეტარიზაცია ისტორიული აუცილებლობააო და მისი შეფერხება-შეჩერება არ შეუძლია როგორც ადამიანის სურვილს და ნდობას, ისე ცხოვრების ჯსვლილებასო. ამიტომ, მარქსის სწავლით, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამ „ისტორიულ აუცილებლობის" მოახლოვება-დაჩქარებას და ამით, როდესაც მთელი მშრომელი ხალხი გაპროლეტარდება, ე. ი. დაკარგავს მიწას, შინაურ პირუტყვებს, ტექნიკურ საწარმოვო იარაღებს, სახლს, კარს და ყველაფერს, როდესაც კაპიტალიზმის განვითარება „უმაღლეს წერტილს მიაღწევს", როცა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა აუტანელი, გაუგრძელებელი შეიქნება, მაშინ პროლეტარიატი შეიგნებს თავის მდგომარეობას (მეგობრობა შეგნებას ქმნისო, ამბობს მარქსი), მისი გაუმჯობესობის საქიროებას, აევსება რისხვის ფიალა და აჯანყდება მდიდრების წინააღმდეგ, მოახდენს რევოლიუციას საერთო გაფიცვის სახით, ბურჟუაზია დაიპყრობს გზას დაადგება და მაშინ, როგორც ამბობს მარქსისტი ბრაკე —„სოციალიზმი შევა თავის სამფლობელოში" [1]), დამყარდება თავისუფლება,ერთობა, თანასწორობა. აქედან წარმოსდგა მათი ვითომდა „მეცნიერული სოციალიზმი", მარქსის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული.

გ. მუშიშვილი.

# საით მივდივართ?!

მოყვასნო და მტერნო, მოდით და ნახეთ, თუ როგორი მომხიბლელ-მიმზიდველად მორთულ-მოკაზმულა და და კვლავაც ირთვებ-იკაზმება და პეწნიკდება, ვით ახალ-ნუგბარი ბანოვანი საპატარძლოთ ჩვენი საყვარელი ქალაქშერთული, მაგრამ გაახალგაზრდავებული თბილისი, დედაქალაქი საქართველოს დემოკრატიისა. გერმანიის, იმ უზარ-მაზარ ტიტანიკს, ასე შეურყევლად რომ მიარღ-მიანგრევს მსოფლიოს ტალღებს, ეს პაწაწა ნავი (საქართველო) ფეფარ აყრილი ასდევნებია კუდი-ზაწარასავით და უყივის; „გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი გარდამატარე კლდენი და ღრენი",—მართალია, ეხლა ცოტა მოვიკოჭლებ ცურაობაში, მაგრამ ეგ არაფერი! მოვა დრო და საუკეთესო ცურვა მეცოდინება".

ჰო, ლამაზდება ანუ უკვე გალამაზდა მეთქი! აი რუსთაველის (ყოფ. გოლოვინის) პროსპექტზედ გავლავართ: მარჯვნივ და მარცხნივ უზარ-მაზარი ფოიები, დარბაზები, შეხავერდებული ტროპიკული მცენარეებით, შეხამებული ხელოვნური სურებით, მაღალი ელექტრონული ძალით გაჩირაღდნებული; კვნესის მომჯადოებელი მუსიკა.

გაქვს დანა-ჩანგალს წკრიალი, ბოთლებს ჩხრიალი; მიცქრიალ-მოცქრიალობენ ფერიებივით ახალგაზდა ლამაზი ქალები, მიმრთმევები და ნაზის ხმით ეკითხებიან მოქეიფე სტუმრებს:„ რა გსურთ? ბიფშტექსი, ბუტერბროდი, ანტრიკოტი თუ სხვა? "მეორეგან:„ თქვენ რას ინებებთ?! ჩაის, კოფეს, კაკაოს, პონჩიკს შოკოლადს, პიროგს, პიროჟნს თუ რას? მესამეგან: თქვენ რას მიირთმევთ? კონიაკს, რომს, „ნალივკა"-ს, „მიატს" ალუბლის წვენს, შამპანიურს. კახურს, ტკბილეულს თუ რას"? და სხვა მრავალი ჩამოუთვლელები.

ხალხი ბლომათ არის შიგ. ზოგს ფოიეში მაგიდებს არცკი სცალიანთ. აგერ იქით გერმანელი იფიცერი ზის ფრიდრიხ ნიცშესავით ჩაღვრემილ-ჩაფიქრებული, მიკცლაკნული ჩიბუხით და გულის გასაცივს ხილის წყალს გიახლებათ. აგერ პლუტოკრატები, მათი სურნელოვან პაპიროსის ბოლი ზეერმწმენდისაკენ რომ აბელის ბატკნის ბოლივით მიექანება, თითქოს იგინიც აბელივით მადლიანი იყვნენ, რაღაც დიდებულს ვახშამს შეექცევიან. და სხვა მრავლის სურათები შორიდგან შევსცქერით ყოველივე ამაებს და უნებლიეთ მაგონდება გრ. ორბელიანის მუშა ბოქულაძე და ჩემე ბურად ვამბობ:

„ზალით მესმის ჰიან ჯრის. თარის ხმა

საამურის სიმებისა წკრიალი,

გულით მინდა შავიდე და მეც დავსტკბე, მაგრამ მრცხვენის, გროში არ მაქვს ტიალი!" გულს ერთი მხრივ ესიამოვნება, რომ ასეთი მაღალი წმინდა ევროპიული განცხრომის ადგილები ჩემს დედაქალაქშია. მაგრამ მეორეს მხრივ გული ნაღველით მევსება, რომ ჩემსვე დედაქალაქში, დემოკრატიულში სიმშილით ღონე მიხდილს ჩემსვე მოძმე ხალხს ორი გირვანქა პური ვერ უყიდნია საცოდავ ცოლ-შვილისთვის! ჩემს ქალაქშივე გახლავთ ისიც, რომ რკინის გზის მთავარ სახელოსნო მუშამოსამ.$^{1}/_{2}$ გირვანქა შავი ქერის შავი დალახვით პური ეძლევათ, დაყუდებული შუზებივით რომ ამოჰშვირავს ნამჯები და გემოიახად ხან ერთ მხარეს და ხან ორივეს ერთ ჩაგვფხაჭნის ჩაგვღადრის ხოლმე, ე. ი. $^{1}/_{4}$ გ. ეს საზღაპრო პური!ს საქართველო ქართველმა დემოკრატიამ იხსნა ჯოჯოხეთიდგან და იგი იწრიტება სისხლისგან და აბჯარ ასხმული დღე და ღამე, დარაჯად უდგა და ედგმება კიდევაც და ეს იმას ჰნიშნავს, რომ საქართველოვე უნდა იყოს სწორედ ქართველი დემოკრატიის ოჯახი, სადაც იგი შექმნის და შეაგროვებს კულტურულს და ტეხნიკურს სიმდიდრეს, რომელიც შეიტანს თავის წვლილს იმ საერთო ოჯახში, სოციალიზმი რომ ეწოდება. და ეს იმას ჰნიშნავს, რომ ქართველი დემოკრატია „სხვას ძირს არ დასწევს თვით ამაღლდება, არც ვის ემონების და არც იმონებს", რომ იგი თავის აშენებულ ოჯახის-საქართველოსი თვითვე უნდა იყოს ბატონ-პატრონი; და რომ ქართველი დემოკრატია ვერას მამაძეობით ვერ მოითმენს თავის აშენებულ ოჯახში იმ ოჯახში, რომელსაც წყლულად თვისი სისხლი ასმარა და ქვაკრათ თვისი ხორც-ძვლები, რომ მასში ბურჟუა-პლუტოკრატია იშვებ-იხარებდეს და თვით კი მუშა ბოქულაძეს როლს ასრულებდეს. არა, არა, ამას ვერა და ათასჯერ ვერ იზამს!!!

ჯერ-ჯერობით ცხოვრების ნიშნებს მხოლოთ ამ კითხვას იძლევიან: „საით მივდივართ"?!

სიკო კევლიშვილი.

# მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა

VII

როგორც წინა წერილებიდან გამოვარკვიე, მუშათა დიდი კავშირი, ე. წ. ინტერნაციონალი თან-და-თანობით ვითარდებოდა, რიცხვით იზრდებოდა და მკაფიო სახეს ჰღებულობდა. გერმანიაში ახლად ფეხ-ადგმული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, ჰხედავდნენ, ამჩნევდნენ ამ ზრდას, და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატთა წრეში დაისვა საკითხი შესახებ ინტერნაციონალისა. ჰსურდათ გამოერკვიათ, თუ რა განწყობილება უნდა დამყარებულიყო მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და საერთაშორისო მუშათა კავშირებს შორის. თუმც იყვნენ ისეთი სოციალ-დემოკრატებიც, რომ ეწინააღმდეგებოდნენ ინტერნაციონალთან კავშირის დაჭერას, მაგრამ ისინი დამარცხდნენ. მათი მოსაზრება, რომ გერმანიის სოც.-დემ. პარტია გაითქვიფება ინტერნაციონალშიო და სხ... მშვენივრად გააბათილა ბებელმა, და გამოვიდა ინტერნაციონალის მომხრედ, მხოლოდ ნაციონალურ ორგანიზაციის შენარჩუნებით. ბებელი ასე ამბობდა: -„ყოველ შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატიული პარტია ჯერ თვით უნდა ჩამოიქნას გერმანიაში, რადგან ინტერნაციონალთან ერთად საჭიროა ნაციური, ეროვნული ორგანიზაცია, და პირველი უმეოროდ წარმოუდგენელიაო." სწორი შეხედულება არის. თუ ეროვნული არ იქნებოდა, ხომ ვერც საერთაშორისო შეიქნებოდა? ბოლოს საქმე ისე დატრიალდა, რომ ეიზენახის კონგრესმა, სადაც ეს საკითხი სწყდებოდა, ასე გადასჭრა საკითხი: ყოველ პარტიის წევრს კონგრესი ურჩევს ინტერნაციონალის წევრობას. ხოლო პროფესიულ კავშირებს კი საერთაშორისო რამ ორგანიზაციად გადაქცევას.

ასე მიდიოდა დრო. ინტერნაციონალი იპყრობდა ყველას ყურადღებას. მარჯვნივ—მთავრობა ულესავდა ხმლებს, მარცხნივ კი მუშათა კლასი გულმოდგინეთ უგდებდა ყურს, ფრთხილად ადევნებდა თვალს მუშათა ახლად-ფეხადგმულ მოძრაობას, და უცდიდა დროს.

1869 წ. ეს ყველაზე მძაფრი წელიწადია მუშათა საერთაშორისო კავშირის ისტორიაში. ამ წელიწადთან შედარებით, ყველა წინა ბრძოლა-შეჯახებანი იჩრდილებიან. ჟენევაში მომხდარი სისხლის ღვრა ჩამოაყენა ბაზელის ამბავმა, ლენტის მქსოველების და აბრეშუმის მღებავთ გარშემო დატრიალდა. ეს მუშები დაითხოვეს მექარხნეებმა. არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილებები. და დაითხოვეს არა ერთი-ორი, აუარებელი მუშები კალატოზებმა და სტამბის მუშებმაც მხარი დაუჭირეს ზემო-მოხსენებულ მუშებს, რისთვისაც ამ მუშებს მეტად ძვირად აგებინეს პასუხი. ნორმანდიის მუშებიც გამოეხმაურნენ ბაზელის მუშებს. ლიონში ფეიქარი ქალები გაიფიცნენ, და პოლიციის ჯიბრზე ინტერნაციონალის წევრებადაც ჩაირიცხნენ. ეს გაფიცვის სენი ისე გაიზარდა, რომ ინგლისშიაც კი მოედო, და უელსში მთამადნეულის მუშები ამოქლიტეს კიდეც.

ინტერნაციონალი, თავისი გენერალური ხაზჭოს სახით ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს ამ მუშათა მოძრაობას. შველოდა ყველაფერ საქმეში რამდენათაც შეეძლო. აძლევდა დახმარებას ფულით, რჩევით და სხ.., გამოსცა მანიფესტი, რომლითაც მეტად სასტიკად და მკაცრად ილაშქრებდა ბელგიის გაყაჩაღებულ მთავრობის წინააღმდეგ- და რამდენადაც მთავრობები წინააღმდეგობას უწევდნენ მუშებს, რამდენადაც სდევნიდნენ მუშურ ორგანიზაციებს, იმდენად იზრდებოდა რიცხვი ინტერნაციონალის წევრებისა. მხოლოდ ბელგიაში ამ დროს უკვე 64.000 კაცამდე ითვლებოდა. ბოლოს მუშებმა მაინც თავიანთი გაიტანეს.

ყოველ მხრივ ინტერნაციონალმა გაიმარჯვა. მაგრამ ბიუროკრატ-მთავრობამ მაინც მოისურვა შურის ძიება. შური კი ინტელიგენტებზე იძია. იმ ინტელიგენტებზე, რომელნიც ბელგიის მუშათა მოძრაობას ედგნენ სათავეში და ეხმარებოდნენ მუშებს ცოდნით, გამოცდილებით და სხ... ყველაზე მკაცრად დაისაჯა პროფესორი გინსი. იგი 1 თვით ჩასვეს ციხეში, და ამ ხნის განმავლობაში არ აჩვენეს არავინ. მისმა ცოლმა მოისურვა ქმრის სასჯელის შესახებ ამბების გაგება, მაგრამ პოლიციამ ისე გამოისტუმრა ქალი, რომ ლოგინიდან ჩავარდა და ქმრის მოსვლამ სიკვდილის პირს მოუსწრო. გინსის ცოლის დამარხვა [illegible] დიქცა ბრიუსელის მუშათა [illegible] დემონსტრაციად, 14, [illegible] რმოთქმულ [illegible] ორგანიზაციების სახელით.

# რკ. გზის მთავარ კომიტეტის საარჩევნო ბიუროს.

აქ საარჩევნო წესების თავის დროზე გამოუქვეყნებლობის გამო (თქვენ მიერ ხელმოწერილი განცხადებები რკინის გზის სამართველოს კედლებზე თერთმეტ ენკენისთვეს).

ბ). კომისიის საიდუმლო მუშაობისთვის და საარჩევნო დღის გვიან გაცხადებისათვის, რით ჩვენ საშვალება არ მოგვეცა სიის შემუშავებისა,

ვ). არა პროპორციონალური არჩევნების მოწყობის გამო; რკინის გზის ცენტრალური კოლექტივი სოციალისტ ფედერალისტთა პარტიისა „პროტესტის ნიშნათ არჩევნებს უცხადებს ბოიკოტს.

ცენტრ. კოლექტივის თავმჯდომარის მაგიერ დევდარიანი.

# ახალი მოსახლეობა ქიაუშრი.

ქიაუთურის მამული თითქმის გაჩენის დღიდან ქიზიყის სამფლობელოს შეადგენს. ამ მამულების დაცვა შენახვის დროს ყარაულებისა და სხვა ხარჯი, თვითეულ ქიზიყის სოფლებს 7000 მანეთზედ მეტი უჯდებოდათ ყოველწლიურად- რაც ძველმა მთავრობამ მიითვისა ეს მამული, მის შერეც ისევე ქიზიყის სამფლობელოდ ითვლებოდა, მაგრამ სახრავად კი ე. წ. „ობივაზჩიკებისა და ლესნიჩების-ა" იყო, ასე რომ ხარჯს კი ხალხი ისევე იწევდა, ხოლო მამულის მოხმარების უფლება სრულიად წართმეული ჰქონდა. მიზეზიც ეს გახლდათ, რომ ხალხის დაუკითხავად დაასახლეს უცხო ტომი და აქ ილობრივ მცხოვრებლებს, ფაქტიურ პატრონებს ნება არ მიეცა დასახლებისა. ამგვარად ეს მხარე რევოლიუციამდის უცხო ტომთა ხელში იყო, რომელთაც ამ ლაღ-დასვენებულ მამულზედ ყოველ-წლიურად დიდძალი მოსავალი მოსდიოდათ, ხოლო გამოღმა მხარის ქიზიყის ხალხი შიმშილს განიცდიდა, ვინაიდან გაცვეთილ დაძველებულ ურწყავ მამულზედ ადარაფერი მოსდიოდათ. ხოლო თუ რასმესა რჩებოდა ნახნავებს შირაქის, მილაერის, წინამხრის ან უკანამხრის შორმანძილიან მამულებზედ, ეს იყო ხარმანი შეძლებული ხალხი, რომელნიც თვის ნებაზედა ხმარობდენ ხვნათესვის დროს ამ მამულებს, და უხარო ხელმოკლე ხალხი კი სრულიად ვერაფერსა რჩებოდნენ, რადგანაც თავის დროზედ ხარ-ურმიანი არ უხნავდა მათ, ანას არ მოუტანდა, არ გაულეწავდა, ამიტომ ეს ხალხი ხარიანების ყმა მოსამსახურეებს წარმოადგენდნენ. უხარო იყო მათი საქონლის მომვლელი. ღამის მეხრე, ყოველდღიურათ მათთან მომუშავე, ყოველგვარ და ყოველ საქმეში მათი მოსამსახურე. ისე. რომ თვით ხარიანი კაცი ბატონათ ითვლებოდა, ვინაიდან გარდა იმისა, რომ უხაროები სრული მათი მუშა მოსამსახურეები იყვნენ, მათთვის ურემს დიდის საყვედურით და დამადლებით გაგორებდნენ, თუმცა კი ქირას ერთს ათათ ახდევინებდნენ; ხოლო ყანის დროს კი ვინამ თვისას არ მორჩებიან უხაროთა ძნას ახლო არ ეკარებიან, ხოლო მოტანის ქირას იმტელს ახდევინებენ, რომ ძნა მეურმეს ქირაშივე რჩება და პატრონს კი ცარიელი შრომა....

რევოლიუციამ ცხოვრებასთან ხალხის გონება აზროვნებაც შესცვალა გამოაფხიზლა; ეს უმწეო ხალხიც გამოერკვა და დაიწყო ზრუნვა ამ ბატონურ უღლიდამ თავის დასაღწევად. ამ გზას კი წარმოადგენს ის, რომ ეს ხალხი გადასახლდეს ალაზანს გაღმა ახალ სამოსახლო ადგილებში, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორდნენ ურმის პატრონ ბატონებს და თავის ხელით მოიყვანონ მოიმკონ თავის სამყოფი წლის საზრდო. ამგვარად ქიაურში დასასახლებლად სხვათაშორის მიდიან ბოდბისხევის მრავალი ღატაკი მცხოვრები, სადაც მათთვის მიწის

[1] ...

მზომელი სამოსახლოების დასაჭერად მუშაობს. ამ ახალმოდის ბატონებსაც არა სძინავთ, იციან კარგათ, რომ უხარო ხალხის ჩამოცლა ნიშნავს მათს სრულ დაღუპვას ვინაიდან მოაკლდებათ მათი ნამუშავრით ოჯახის სიმდიდრე, და ყოველგვარი საქმე ამას იქით თითონ უნდა აკეთონ თავიანთ ხელით, თავათ კი არ შეუძლიანთ იმტელი შექმნან, რომ თავისი ოჯახის მრავალ მოთხოვნილებიან საქმეს გაუძლვნენ. ამიტომ ამ ხალხმა შეიერთეს ქურდები, კაცის მკვლელები, ავაზაკები და ბოდბისხევის სასოფლო ყრილობაზედ პირველ სეკტემბერს და რვაში, როდესაც ამ სოფლის კომისარმა გამოაცხადა, რომ არავინ სიყალბით არ ჩაეწეროთ ქიაურში დასასახლებელ სიაში, რადგანაც ეს გამოიწვევს საქმის არევ დარევას, და კანონით კი მამული უნდა მიეცეს მხოლოდ იმ პირებს ვინც უადგილ მამულოა და ნამდვილად იქ დასახლდებაო. ამ დროს მდიდრებთან ერთად დაქირავებულმა ქურდებმა დათა ფ—ლმა გაბრო ტ—ლმა და სხვებმა ასტეხეს ყვირილი მთავრობის კანონის წინააღმდეგ; მოუწოდებდენ ხალხს ასაჯანყებლად, რომ უმამულო ხალხის ქიაურში დასახლება ჩაფუშონ ცხოვრებაში გატარების უფლება არ მისცენ. ყვიროდნენ: არ ვიცნობთ მთავრობას არც მისს კანონს, მამულ ჩვენია და ჩვენს ნებაზედ უნდა მოვიხმაროთო. შეძლებული ვაჟბატონები სტირიან მიტომ მუქთა მუშა მოსამსახურეები ეცლებათ ხელიდან, მეორე მხრივა სცდილობენ იმას, რომ როგორც სხვა მხარეების მამულებია სრულს მათ სამფლობელოდ გადაქცეული ესე ქიაურიც უნდათ ჩაიგდონ ხელში უხაროს ადარაფერი არგუნონ, და ამავე დროს უხარო ხალხი ძველებურათ მუქთა ყმებათ დაიბრუნონ. ხოლო ამ ქურდ ავაზაკებს აწუხებთ ის გარემოება, რომ როგორც შირაქში, უკანა მხარეში, ან მილარზედ დათარეშობენ, იტაცებენ საქონელს ლეკისას თათრისას აგრეთვე მათ იტაცებენ ქართველი ხალხისას, რომელთა შეოხებით ეს სამი ეროვნება ერთმანეთის მოსისხლე მტრებათ არიან გადაქცეულები, ხოლო თვით ამ ნიადაგზედ მოტაცებულ ბლომა ნადავლს ეზიდებიან სახლებში, ესევე უნდათ ქიაურში ხალხი არ დასახლდეს, რომ ამ ტყიან ადგილებში ფართო საყაჩაღო ასპარეზი დაიდვან, ერთის მხრივ მათ ქურდებს იტაცინონ ქართველთა საქონელი და ამგვარათ ორი მეზობელი ერი ერთმანეთს წაჰკიდონ. ამისათვის საჭიროა ყოველი ამგვარი გზის მექონე ქურდი ავაზაკი და პროვაკატორი, რომელთა მოქმედებაც კი ზიანს უქადის როგორც სოფლის ცხოვრებას, ნებას არ აძლევს დაწყნარებულად იცხოვროს, ეგოეთვე სცდილობენ ქართველი მთავრობის კანონის წინააღმდეგ ამხედრონ ხალხი, ნებას არ აძლევენ კანონს განმტკიცებისას, რომ ამით თვისი ავაზაკობა გააფართოვონ, ამიტომ ყველა ეს ნადირები უნდა მოიკრიფნენ, მოქუჩდენ, განიწმინდოს სოფელი მათგან და გაიგზავნოს იქ საიდამაც ვეღარც ვისმეს ვნებას მიაყენებენ და იქ კი საქმეს გააკეთებენ, ესაა კატორღა სადაც მათგან დამუშავებული საქმე სახემწიფოს მოხმარდება; თორემ უამისოდ ვერც სოფლები მოისვენებს და ვერც ჩვენი ცხოვრების აღმადგენელი მთავრობის კანონი გაიკვლევს ხალხში ადვილათ ნიადაგს.

გამვლელი.

# ქუჩის მოქალაქენი

დემოკრატიული წყობილება იმ წყობილებას ჰქვიან, სადაც დემოსი ანუ ხალხი განაგებს სახელმწიფოს საქმეებს. ამნაირ სახელმწიფოში კი რასაკვირველია უპირველესი ყურადღება ექცევა იმავ ხალხს ხალხის წარმომადგენლების მიერვე. ხალხი მოგეხსენებათ არ შესდგება ერთნაირ მდგომარეობის პირთაგან აქაც არის ქონებრივი დანაწილება. მე ბურჟუაზია ანუ მდიდრები როდი მყავს მხედველობაში. ხალხად მე ვგულისხმობ მშრომელებს, რომელნიც საკუთარი მარჯვენით სცხოვრობენ. მე ღარიბი უმრავლესობა მყავს მხედველობაში და ვამბობ, რომ სწორედ ამ ღარიბთა შორისაც არსებობს ქონებრივი დანაწილება ერთნი:—ვინც შრომობს და ავად თუ კარგად ირჩენს თავს, მეორენი—ვისაც შრომის უნარი არა აქვს და ძაღლ—უმადური ცხოვრებას ეწევა ეს უკანასკნელნი მყვანან მხედველობაში და ეს წერილიც მათ ეკუთვნით.

ჩემო მკითხველო! ხომ გაგივლია თბილისის ქუჩებზე? ხომ გინახავს ბრმა, ყრუ, უხელო, უფეხო ან საბყარი ხალხი? ხომ დაგეწვია სიბრალულით გული? შემდეგ? ამოიღებდი ერთ ორი გროშს და გაუწვდიდი. ეს არის და ეს. წახვიდოდი ცოტა ხანს კი გამოყვებოდა მწარე ფიქრი, მაგრამ შემდეგ ქალაქის სიჭრელე კვლავ შეგიტყუებდა თავის მორევში და ფიქრს წაგართმევდა; ასევე დაემართებოდა მეორეს, მესამეს და სხვა.

მაგრამ თვით ეს მათხოვრები რაღას გრძნობენ? გაიგეს მათ რევოლიუცია? იგრძნეს ხალხთ ბატონობის სიკეთე? შეაფარეს დევნილი თავი წითელ დროშების თანასწორ მფარველობას? არა და ვერა ისინი ისევ ქუჩაში დარჩნენ ხელ-გამოწვდილები, და ჩვენც ისევ ძველებურად ვაწვდით გროშს. ვერც კი ვგრძნობთ, რომ ამ მოქმედებით ვამცირებთ მათ პიროვნებას, ფეხით ვთელავთ მათ ისედაც გათელილ თავ-მოყვარეობას და ხელს უწყობთ მათ ლუკმა პურის უსახო მონებად გადაქცევას.

და ისიც ხომ მოქალაქეები არიან? ხომ იმათაც უნდა შეხებოდა ადამიანის და მოქალაქის უფლებები? რა უყოთ რომ ქუჩაში ყრიან? განა ჩვენ, მუშები კი ქუჩის შვილები არა ვართ? მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ შრომის უნარი გვაქვს, მათ კი არა. მაგრამ ამაში ეს ქუჩის მოქალაქეები დამნაშავენი ხომ არ არის? განა იმათ კი უნდათ მუქთა აჰამნლა სიკუტე, ბრმობა ან საპყრობა?

მაშ რად ისჯებიან? რატომ ჰყრიან ქუჩაში, ყველა ვიგინდარის ფეხ-ქვეშ სათრევლად?

როდემდის უნდა იგლახაონ ცხოვრების გერებმა?

აღარა აქვს ბოლო?

აკი ჩვენ ვპირდებოდით ყველა უბედურს ბედნიერებას, უსახკარებს სახლს მშივრებს პურს და სხვა სიკეთეს?

რა იქნა ეს დაპირება?

მეტყვით რომ დღეს ყველასა გვშიანო- მართალია მაგრამ ეგ პასუხი როდი იქნება მე ვამბობ რომ ეს ქუჩის მოქალაქენიც ისევე უნდა იყვნენ მშიერნი, როგორც ჩვენა ვართ. ეს კი ასე არ არის. სიმშილისა ჩვენ არ გვეშინიას. დღევანდელი უპურობა ეს გარდამავალია, რევოლიუციამ ამაზე უარესი საჩუქრები იცის მაგრამ ჩვენ ხომ ვიბრძვით ჩვენი მდგომარეობას გასაუმჯობესებლად?

ხომ გვიმატებენ ჯამაგირს?

ხომ ვცხოვრობთ როგორც არის? ისინიც ვაცხოვროთ ამხანაგებო. მათ ხომ ბრძოლა არ შეუძლიათ. ჩვენ ვიბრძოლოთ იმათ მაგიერ.

ჩვენი ბრძოლა კი რაში უნდა გამოიხატოს? უნდა მოვითხოვოთ, როს გლეხებისთვის, ამ ქუჩის მოქალაქეებისთვის დაარსდეს თავ-შესაფარი, სადაც ექნებათ ბინა სასმელ-საჭმელი და სამოსი ეს დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

ამაზე გაცილებით მეტს ისეთ რამეებზე ჰხარჯავენ, რაც არაფრისთვის არ იყო და არც არის გამოსადეგი. მაგ სასურსათო კომიტეტები, რომლებსაც აუარებელი ფული შთანთქეს და სარგებლიანობა მათ არსებობაში ვერა ვნახეთ.

დიახ, ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტმა მუშებმა და საერთოდ მუშებმა უნდა აღვძრათ ეს საკითხი, და მთავრობაც, როგორც ხალხის მზრუნველი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ყველა მოქალაქის სამართლიან მოთხოვნილებას.

მათხოვრებიც მოქალაქეები არიან. მათაც მზრუნველობა უნდათ.

ქუჩის მოქალაქეებიც ჩვენი ძმები არიან, ამხანაგებო, ხმა ამოიღეთ.

ვ. პაპაძე.

# † არჩილ საყვარელიძე.



კაპიტანი
არჩილ საყვარელიძე
სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში მოკლული.

როდესაც მოახწია ხმამ, რომ ჩამოინგრა ტახტი ძველ დახავსებულ თვითმპყრობელ რუსეთის მეფისა, 27 თებერვალს 1917 წელს. 4 მარტ 1917 წელს ღამე მოხდა სოციალისტ ფედერალისტთა სამხედრო ორგანიზაციის კრება და გადაწყდა უკვე დაიკრა ზარი რუსეთის რევოლიუციისა აწ დრო გვაქვს იარაღით ვიბრძოლოთ საქართველოს განთავისუფლებათო, ესეთი აზრისვე იყო თითქმის ყველა ჩვენი ამხანაგი. ყველა იძახდა ეხლა ლაპარაკის დრო არ არის, იარაღი და იარაღიო.

თითქოს სასწაული მოხდაო, გამოცხადდა ღიმილით ლამაზი, კოპწიათ გამოწყობილი აფიცერი, წარმოგვიდგინა მანდატი, რომ მე სოციალისტ ფედერალისტთა მთავარ კომიტეტმა მთელი ჩვენი პარტიულ შეიარაღებულ ძალების უფროსობა ჩამაბარა და მაქვს პატივი მოგახსენოთ ამხანაგები ტაშით შეხვდნენ, გაუმარჯოს არჩილსო

დახავსებულ და აწ განსვენებულ რუსეთის რეაქციონურ რეჟიმის დროს სამხედრო ორგანიზაციის წევრადაც ვითვლებოდი. „სარდაფებში პარტიული მუშაობა“ საშვალებას არ გვაძლევდა გავცნობოდით ამხანაგები ერთი მეორეს, ნამეტნავად ვიწრო და საიდუმლო იყო მუშაობა სამხედრო ორგანიზაციისა. მეკი თუმცა მენახა რედაქციაში. მაგრამ ვიკითხე ვინ არის მეთქი, ხელი წამკრა ერთმა ამხანაგმა და მითხრა: კაცო როგორ ირ იცნობ ეს ჩვენი მიშას ძმა არისო.

ეს არჩილ საყვარელიძე იყო, რომელიც მალე „ჩვენი“ არჩილი გადაიქცა და თვითეული ჩვენთაგანი, სიამოვნებით და განსაკუთრებული სიყვარულით ვასრულებდით არჩილის განკარგულებებს.

რამდენიმე საათმა არ გაიარა, რომ დაინახა: აბა ამხანაგებო, დრო არ გვიცდის, იარაღის შეძენას უნდა შეუდგეთ ეხლავ, რადგან რევოლიუცია მხოლოდ დაიწყო, ძალის შექმნა არის საჭიროვო. ადგა ზეზე და მოგვმართა: აბა მივდივარ და მომყევით- ბევრი არ დაგვიხანებია, კრების რეზოლიუციას უკვე ბევრი ახალგაზდა იდეით გატაცებული ამხანაგი მოუთმენლათ ელოდა და რამდენიმე ათეული კაცი აღტაცებული მივდევდით წინამძღოლ არჩილს.

როგორი ხალისით და ენერგიით იყო აღსავსე მაშინ არჩილი, როცა ერთ თოფის საწყობს მივაგენით, რის შესახებაც ცნობა გვქონდა, რეაქციონერებს გააქვთ და იარაღდებიანო. ჩვენში სამხედრო საქმის მცოდნენი ძლიერ ცოტა გვერია. თითქმის ყველა „წყობისთვის შეუჩვეველნი ვიყავით მაგრამ არჩილის მსწრაფმა და გონიერმა მოქმედებამ თითქმის ჩვენი დიდი ნაკლი გამოისყიდა. ჩვენ რამოდენიმე წუთში უკვე წესიერი ალყა გვქონდა საწყობისთვის შემორტყმული და ყოველივე უცაბედი შემთხვევა: გათვალისწინებული. საწყობისკენ პირველი არჩილი მიდიოდა თან წაგვიყვანა ოთხი, როცა გავტეხეთ კარი და ვნახეთ შიგ მართლაც და მრავალი თოფი, ისე იყო სიხარულით აღელვებული, რომ სულ თითის ფრჩხილებზე დადიოდა „ნახეთ ხალხო, რაზე გაგვასწრებდნენ ამ თოფებს და ამ ჩვენივე იარაღით რამდენს ამხანაგებს მოგვიკლავდნენ ეს შავრაზმელებიო. მერე რატომ იმას კი არ ამბობთ, რომ ამ იარაღით რა კოპწია რაზმი მეყოლება შეიარაღებულიო. დიდი სიხარულით მოვიტანეთ პირველ ნაბიჯზევე გამარჯვებულებმა რამდენიმე ფურგონი.

ეს იყო ჩემი პირველათ ნანახი, წესი თუ როგორ უნდა გადაეცა სამხედრო დისციპლინით ერთ დარაჯს მეორესთვის სადარაჯო რომ თვითონ განთავისუფლებულიყო შეგვიდგინა იარაღის ინვენტარის სრული ნუსხა ერთი დარაჯი მეორეს ყოველივეს თვლით აბარებდა და ხელს აწერდა მივიღე აკლებლივს არჩილი დიდის მოწიწებით ასრულებდა თავის ნაკისრს საქმეს და ყოველავე წვრიმალს ითვალისწინებდა. ერთ გამარჯვებას მოჰყვა სხვა და სხვა საქმიანობა და უკვე დიდი რიცხვი ამხანაგებისა უზრუნველყოფილი შეიქმნა იარაღით. დაარსდა საქართველოს სოც.-ფედერალისტთა მებრძოლი „რაზმი“.

გაცნობილი ამხანაგი ვარ და მხიბლავს არჩილის სისპეტაკე. სულური სიმტკიცე და ღრმა დემოკრატიულ და სოციალისტური რწმენა. არჩილს არა აქვს მოსვენება რომ თავისუფალს საქართველოს არ ჰყავს რეგულიარული ჯარი, და აი არჩილი უკვე ამხანაგ სტუდენტებთან არტილერისტების ბრიგადაში ხელმძღვანელობს, „სიამოვნებით მიგყვებათ ქებას თავის ჯარის კაცების, რომ ზარბაზნის ხმარება ჩქარა შეისწავლეს და საუკეთესოდაც.

არჩილ, ნუთუ ეგრე მოგწონს სამხედრო საქმიანობა?—, რას მეუბნება გიორგი, კაცო მე ინჟინერი, ვარ და განა მიტაცებს ეს ბრწყინვალე ვარსკვლავები? მაგრამ მიხარიან როცა თვითოეული ჯარის კაცი [illegible]ნას, იმდენი სამშობლოს ძალა [illegible]ბა. აი სამშობლოს [illegible] სპობა ანარხია და მე ნახევარ წუთს არ დავრჩები ამ სამსახურში.

გულწრფელი და სწორე იყო მისი სიტყვები ისე, როგორც ლამაზი იყო და მომხიბლავი არჩილის სპეტაკი და ფაქიზი სული.

არჩილის მგრძნობიერ სათნო ხასიათის ხელობათ შეუძლებელი იყო ყოფილიყო ომის ქარტეხილიდან საბოლოვეს ხელობით დარჩობილიყო

მაგრამ ბრძოლაში დაბადებული, უიში აღზდილი ტკბილი სამშობლო, თითქოს სულით ეძებს თავის შვილს რაც შეიძლება ადრე და მალე ჩაიკრას გულში სპეტაკი ადამიანი, რომ დედამიწამ ერთი თესლი გაათასოს და შემდეგ ერთი ათასათ დაგვიბრუნოს. და აი ასეც მოხდა სამეგრელოს ბრძოლა ერთმა საუკეთესო ამხანაგმა გამოისყიდა. ჩვენ კი დაგვრჩა ერთი რამ სანუგეშო: არჩილმა მაგალითი დაგვიტოვა მისი თუ რაა შეგნება იდეალისა და მისთვის ბრძოლა თანაც ის, თუ როგორი სპეტაკი და უანგარო უნდა იყოს კერძოთ ადამიანი მუდამ ხატად გვესვენება არჩილის ხაზიერება სახსოვრად გულში შენ კი, განისვენე ამხანაგო არჩილ! უდროა შენი სიკვდილი, მაგრამ შენი სიკვდილით დასთრგუნვე სხვისა სიკვდილი, და უპირველესად სიკვდილი შენი ლამაზი სამშობლოსი.

გ. ხუდთანიშვილი

# რკინის გზის მთავარი კომიტეტი.

ჩემს წინა წერილებში მკითხველს გავაცან ის თუ როგორ არივდარია რკინის გზებზედ საქმეები თავისი მოუსაზრებელი და უვიცი მოქმედებით რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა.

მთავარი კომიტეტი უნდა აღვნიშნო რო თავის და თავათ არაფერს წარმოადგენს, ვინაიდან დიმოეორის ჯოხი მოქმედობს. შეიძლება ძალიან გულწრფელნი იყვნენ ზოგიერთი წევრები. მ. კ. მაგრამ სხვისა გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

არიან კომიტეტის შემადგენლობაში ისეთნი, რომელნიც მოურიდებლივ სარგებლობენ ზოგიერთი წევრების უვიცობით და თავიანთ აზრს ახვევენ თავზედ.

ესენი არიან პირადი ბედნიერებით დაინტერესებულნი და მისი მაძიებელნი, გაუცვდათ ბატონობა, ხელიდან გამოეცალათ ის უფლებები, რომლითაც ორი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ და როგორც ბუზები ზამთის პირში გამწვანებულნი იკბინებიან- უნდა იცოდნენ რო ეს სიკვდილის მომასწოვებელია. ეხლა და ძვრებიან მუშებში და შეურიგებელ აგიტაციას ეწევიან, იმ მუშებში რომელთაც დიდი ხანია მათში რწმენა დაჰკარგეს და ზურგი შეაქციეს იმ მუშებში რომელნიც წყევლა კრულვით იგონებენ მათ ბატონობას.

ეხლა ბ-ნ კომიტეტის წევრები პარტიული იარლიკით შუბლოზედ სცდილობდენ შეაბრალონ თავი მუშებს და ისევ მოექცნენ სათავეში, მაგრამ მუშები აღარ მოტყუვდებიან. რად დასჭირდათ ჩვენ გმირ ნინიძე—ნინიუა—დიდიძეებს პარტიული სახელით გამოსვლა რა ხელი აქვს პროფესიონალურ კავშირებში პარტიულ შეუთანხმებლობას, განა აქანობამდის პარტიულის თვალსაზრისით სჭრიდნენ საკითხს ნუ თუ პარტიული თვალსაზრისი მოითხოვს იმას რო ინჟინრის მაგიერ რომელსაც თავის სპეციალობა ახასიათებს „სტრელოჩნიკი“ დაენიშნათ, საუკეთესო გულწრფელი ექიმები გამოეძევებინათ და მათალაგზედ ფერშლები დაენიშნათ და სხვა საპასუხისმგებლო რკინის გზის პოსტებზე დაენიშნათ უპასუხისმგებლო პირნი- გამოეძევებინათ სოც—ფედერალისტი

მუშებს რკინის გზის დარგებიდან და მრავალი სხვა მაგალითები, განა ყველა ამას პარტია ავალებდათ? ნუ თუ პარტიულის თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ როდესაც კრებებზედ გაფიცვის საკითხს იხილავენ? რად დასჭირდათ ყველა ეს ჩვენ კარიერისტებს? იმისათვის რომ ძველი ბატონობა შეინარჩუნონ.

ამას წინათ სოც.-ფედერალისტ მუშებმა შეიტანეს ჩვენს ფრაქციაში განცხადება: თუ მთავარ კომიტეტი თავის ძუნწ პოლიტიკას და უმგვანო ტაქტიკას, რომელმაც აწეწ დაწეწა მთელი რკინის გზის საქმიანობა არ შესცვლის და არ ჩამოერთმევა მას ადმინისტრატიული უფლებები, რომლითაც ბოროტათ სარგებლობას ვგენ რკინის გზას დაღუპვა ფოელისო. ჩვენ-და ეს მრავალი ფაქტებით იყო დასაბუთებული.

სოც.-ფედერ. ფრაქციამ ეს საკითხი გადაიტანა მთავრობაში და მთავრობამაც მიიღო ზომები მთავ. კომიტეტის უმგვანო მოქმედების წინააღმდეგ.

მთავრობამ საჭიროთ სცნო შეცვლა არსებულ კომიტეტის ისეთით რომელიც იქნება აღჭურვილი მხოლოთ პროფესიონალურ უფლებებით და ადმინისტრატიულ საქმეებთან საქმე არ ექნებათ

ამან გამოიწვია მთავ. კომიტეტის მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. არამც თუ არ შეასრულეს კომ. წევრებმა მთავრობის გადაწყვეტილება პირ იქით ბრძოლა გამოაცხადეს.

მათი დამოუკიდებულება მთავრობისადმი უფრო გამწვავდა მას შემდეგ რაც რკინის გზებზედ გამოცხადდა დიქტატურა.

ამ დიქტატურის გამოცხადების შემდეგ ერთ—ერთ კრებაზედ განცხადებია ბ-ნ ნ-ას რო თუ კი დარწმუნებული იქნებოდა რკინის გზის მუშების გზირობაში გამოვაცხადებდით გაფიცვას და ვაჩვენებდი სეირს მთავრობასო.

რა არის ეს თუ არა ბოროტ მოქმედება? ჰგრძნობენ თავიანთ სიკვდილს და ებღაუჭებიან ღმერთმა იცის რას, უკიდურესი ბოროტ მოქმედნი გახდებიან ოღონდ კი შეინარჩუნონ თვისი ბატონობა.

რას გავრბივართ საშველოში რესპუბლიკის მტრების ასალაგმავათ როცა შინ გვერდით გვყოლია დაუძინებელი მტერი. ღირსია ბ—ნ ნ—ა რო მან ქართველის სახელი ატაროს და იყოს იმ საქართველოში რომელსაც მსხვერპლათ ეწირებიან ისეთი გმირები როგორნიც არიან. არ. საყვარელიძე და სხვანი? მე ვამბობ რომ არა.

15 სექტემბერს მოწვეული რკინის გზის მუშათა დელეგატების ყრილობა ამ ყრილობაზედ გასაგზავნ დელეგატთა არჩევნებს ისევ ძველებურად შინაურულათ ახდენენ. ისე რომ ნახევარი მუშები მოკლებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავ იმისას, რო ყრილობაზედ ძველი კომიტეტის წარსულ მოქმედებას ჯეროვან პასუხს გასცემენ და დაგმობენ მის ნამოქმედარს.

ახალი კომიტეტში უნდა აირჩეს ისეთი პირები, რომელნიც გულწრფელად მოინდომებენ მუშა გამოიყვანონ გაშუქებულ გზაზედ. ახალი კომიტეტი უნდა ალმოცენდეს კლასიურ ნიადაგზედ და აწარმოოს პროფესიონალური საქმეები.

მაშ გაუმარჯოს შეგნებულ მოქმედებას!

ძირს კარიერისტები!

**მეთვალყურე.**

# სალამი ამხანაგებს!

საქართველოს დამოუკიდებლობის მეორეზე თვეში ჩვენი პარტიის მესამე თავისუფალი კონფერენცია სდგება. მესამე, რადგან თვით რუსეთის რევოლიუციამაც სამი ხანა განვლო: პირველი—დასაწყისი რევოლიუციისა და ცგრედ წოდებული კოალიციის მთავრობა, მეორე—ოქტომბრის რევოლიუცია და ბოლშევიკთა დიქტატურა, და მესამე—რუსეთისთვის რევოლიუციის დაღუპვის გზაზე დაქანება, ჩვენთვის კი საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთის მეორე და მესამე ხანამ ჩვენზე ვერ იქონია გავლენა, ჩვენი ცხოვრება სხვა გზით წავიდა. და აი ამ ხანების-და მიხედვით ჩვენც ვიკრიბებოდით, რომ შეერთებულად ალლო აგვერთვა ცხოვრებისათვის, გაგვეგო რევოლიუციის პროცესის მიმართულება, შეგვედარებინა ჩვენი თეორიული და აბაქტიკული პროგრამმა, შეგვეწონა ჩვენი ტაქტიკა. ეს ასე იყო საჭირო. ჩვენ ხომ პოლიტიკური და რევოლიუციონერთა პარტია ვართ ჩვენ ხომ ცხოვრების შიგ შუა-გულში, მორევში ვართ მიქცეულნი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საერთოდ მორევი ატრიალებს საგანს, ჩვენ კი ვცდილობა რომ თვით მორევი შემოვატრიალოთ ჩვენს გარშემო. ამის გარდა, პოლიტიკურ და რევოლიუციურ პარტიას არა აქვს აზრი.

ისტორიულიპიმდინარეობა ჩვენ ხომ ისე არა გვრწამს, როგორც ჩვენდა დამოუკიდებელ რამ დენა გარეშე მოვლენებისა. ადამიანი ჩვენი წარმოდგენით ის ნაფოტი კი არ არის, პატარა ნაკადულსაც კი რომ ქანაობით მიაქვს ხოლმე. არა. ადამიანი გემი არის, რომელიც ცხოვრების ზღვას აპობს თუჯგადაკრულ მკერდით, აგორებს ტალღებს, და მიემართება არა იქით, საითკენაც ტალღათა რიგი გადააქანებს, არამედ იქით, საითკენაც სურს. რასაკვირველია, ყოველი გემის კაპიტანი სტიქიონის განგაშს ანგარიშს უწევს, ქარიშხლის დროს ღუზას არ მოხსნის და აგეჯრინ ტალღებს არ შეერთვის დასაღუპად. მაგრამ როდესაც კი შესაძლოდ დაინახავს, აუშვებს ხომალდს და გააქანებს იქით, საითაც ფიქრობდა გზის დაჭერას. ასეთია პოლიტიკური ცხოვრებაც. ესეც ზღვაა, ზღვა მდელვარე, ქაფ-მორეული, დაუდგრომელი, ხან კი მკერდ გადარანდული, პირ-მოპარსული, კამკამა. მის მატყვევებელ სივრცეზე ხან ქარაშოტი გადაიფრენს ხოლმე კუდიანი ფერხულით ხან კი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ნარინარობს ხოლმე თვალ გაშტერებული.

ჩვენც, როგორც მომქმედი პარტია დავცურავთ ამ პოლიტიკურ ზღვის პირზე, და მივემართებით იქით, საითაც მიგვიწევს ჩვენი ფიქრი, სურვილი და ნების ყოფა. ასე უნდა გვესმოდეს. ასეც ხომ ვიქცევით. და აი, როდესაც ადუღდა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება,, ავი ფიქრიც აგვიფორიაქდა, აზრთა გადასინჯვა მოისურვეო, და ორი თავისუფალი კონფერენციის ოქმები უკვე გადავეცით ჩვენს პარტიულ ისტორიის არხივს.

ახალ ხანაში გადავდექით. საქართველო განთავისუფლებულია, და ჩვენი ამხანაგები განაგებენ მის ბედს. მეტად რთული მოვლენაა.

რამდენ შიშს აღვძრავს ეს საქართველოს თავისუფლება ყველა საქართველოს მოყვარულს. ჩვენ გვიხარიან თავისუფალ სამშობლოში ლაღად ყოფნა, ჩვენ გვასიამოვნებს მოხრილ ხერხემლის გასწორება, მაგრამ გვეშინიან, გვეშინიან დედის წამლობისა. ვაი თუ გამოუცდელი შვილის ხელი მტკივნეულად და ბეჯითად მოხვდეს დედის წყლულს და თვით შვილმავე გამოასალმოს წუთი-სოფელს თავისი დედა, რომლის განკურნებაზედაც ფიქრობდა ამდენ ხანს გულ-მტკივნეულად.

ეს დედა საქართველოა. შვილები ჩვენ ვწამლობთ. მაგრამ შიშით სავსე კითხვა არ გვასვენებს: შევძლებთ? რომ ვერ შევძლოთ? და აი ამ დიდი კითხვებით ფიქრ-დამძიმებულნი, ჩვენც როგორც საქართველოს ძველიდანვე ერთგული და მზრუნველი შვილები, კიდევ ერთხელ ვიკრიფებით ერთად, რომ შეერთებულად ვითათბიროთ საქართველოს მდგომარეობაზე, ჩვენს საკუთარ თავზე, კრიტიკის თვალით შევხედოთ მთელ ჩვენს პარტიულ მოქმედების, ტაქტიკას, რომ დავრწმუნდეთ ჩვენი მოქმედების სიავ-კარგეში. თუ კარგა გვიმოქმედნია და ვმოქმედობთ, ხომ გავხალისდებით და უფრო მეტი აღფრთოვანებით წავალთ ხვალის შესახვედრად, თუ არა და მოვინანიებთ განვლილ შეცდომებს და შემდეგისთვის შევეცდებით, რომ იმ გზით აღარ ვიაროთ. ამისთვის ვიკრიბებით. ამისთვის მოდიან ამხანაგები მოდიან ზოგი გულ-ანთებულნი და გახალისებული, ზოგი ფიქრ-დამძიმებული და შუბლ შეკრული. მოდით, მოდით ამხანაგებო. ნუ გეშინიანთ. თქვენ ბრძოლის სურვილს ნუ დაჰკარგავთ, თორემ შეცდომების გამოსწორება შეიძლება. მოდით, რომ უკეთესად დარაზმულნი დავდგეთ ჩვენს ლამაზ და პატიოსან სადარაჯოზე, კიდევ ერთხელ შევფიცოთ ჩვენს ორ წმიდა დროშას: წითელს და სამ-ფეროვანს,

მოდიან ამხანაგები. სალამი ამხანაგებს.

**გარეთ—უბნელი.**

# ს. ძონძირი.

(სამეგრელო)

ეს ერთად ერთი სოფელია სამეგრელოში, სადაც ანარქიას ადგილი არ ჰქონია და არც მოსალოდნელია, რომ ჰქონეს. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ აქ არიან ბევრი პროპაგანდისტები რომლებიც ხალხს აგონებენ. მხოლოდ ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა ძარცვა გლეჯა. ოთხი ან ხუთი შეიარაღებული კაცი დაესევა ოჯახს და სახლის პატრონს დაუძახებენ: „კარი გაშიღეთო“. თუ სახლის პატრონმა კარი არ გაუღო, მაშინ ძალით გამტვრევენ, (თუ წინააღმდეგობა გაუწია, მოკლავენ) მერე ფულს მოსთხოვენ, როცა მას გამოართმევენ მერე თუ კარგი ტანისამოსები და ნივთები ნახეს მასაც წაიღებენ. წასვლის თანავე სახლის პატრონს დაემუქრებიან: თუ ეს მთავრობას აცნობე მთლად ამოგწყვეტთო. ცხადია რომ ისინი გრძნობენ მთავრობის სისუსტეს. ამას არც მთავრობა აქცევს ჯეროვან ყურადღებას როცა გაძარცულმა პირებმა მთავრობას შესჩივლეს, მოვიდა სასოფლო კომისარი, მოახდინა კრება და ხალხს განუცხადა: „ეცადეთ შემდეგში არ განმეორდესო“. აქ მკითხველი ნათლად ხედავს ადმინისტრაციის სისუსტეს. ყველასათვის აშკარაა, რომ როდესაც მთავრობა სუსტად მოქმედობს, მაშინ ჩვენი ქვეყნის მტრები შემოთხუპავას ჰქონდა ადგილი ღამით, დაახლოვებით 9 საათზე, შუა სოფელში მოისმა თოფის ხმა, რომელსაც მოყვა ქალის კივილი. ამის გაგონებაზე მცხოვრებმა გლეხებმა სროლა ასტეხეს, ისეთი საშინელი სროლა ასტყდა, რომ ოსმალეთის ფრონტს მოგაგონებდა კაცს.,.

ამის გაგონებაზე მეც გავეშურე იქითკენ, საიდანაც თოფის სროლა და ქალის კივილი ისმოდა. როდესაც მივახლოვდი ახლოს დავინახე, რომ სამი შეიარაღებული კაცი მიათრევდა კაცს ორი კი მათრახით უმოწყალოდ სცემდა. საცოდავი ქალი ჰკიოდა. მე მაშინვე თხრილში ჩავხტი და დაუძახე გაუშვით ქალს ხელი მეთქი და გავისროლე ზევით. იმათაც სროლითვე მიპასუხეს სროლა გაგრძელდა რამოდენიმე წუთი. ამასობაში ამხანაგებიც მომეშველენ და ისინი გაიქცენ. ქალი კი დასტოვეს შემდეგ გამოირკვა, რომ სოფლის მცხოვრებ ესართიას სწავლა თავისი დის შვილი ფროსიმე პეტრე, ხუხუის ასული. ეს ქალი მყვარებია ს. საჩიქობაკოს მცხოვრებ იაკობა ხიქობავას. მაგას ხუთი შეიარაღებული პირის დახმარებით გ ნუზრახავს ამ ქალის მოტაცება, რაც ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი, რადგანაც ეს სოფელი მდებარეობს ქ. ახალ-სენაკის ახლო, სროლა გაუგია ადგილობრივ მთავრობას. მეორე დღეს მოვიდა კომისარი თავისი მილიციონერებით, რომელმაც მიიღო ზომები იმ პირების დასაჭერად, რომლებმაც განიზრახეს ქალის მოტაცება, მაგრამ ისინი მიიმალნენ.

**ირაკლი შავგულიძე.**

# ახალი ამბები

**ბ. რათების გაუქმება.** ქალაქის საბჭომ დაადგინა გაუქმდეს ბარათები, გარდა პურისა და ფქვილისა. ამასთანავე ქალაქის საწყობებიდან სურსათი მიეცემათ ჯერ ქალაქის მო[illegible] ამ[illegible]ახურეებს, შემდეგ მცხოვრებები

**ხარაგაულში** საერობო არჩევნები სექტემბრის 1[illegible]-სთვის გადაიდო.

ოხთა იარაღის რი[illegible] შესახებ, სამხრეთ ოსეთის [illegible]ცულმა საბჭომ მთავრობას მოხსენებით წარუდგინა, სადაც ნათქვამია, რომ იარაღს აჰყრიან თვითონ და თვით ოსებივე შევინახავთ, რომ იარაღის გაზიდვამ ხელში არ აიღელვოსო.

# რუსეთში.

**ნიკოლოზ II დამარხვა.**

როგორც ჩელიაბინსკის გაზეთი „ჭლ. ნაროდა“ იუწყება, ყოფილ მეფის ცხედარი ამოუღიათ საფლავიდან, გადაუსვენებიათ ძვირფას კუბოში, და საპატიო დარაჯით დაუსვენებიათ ეკატერინობურგის ტაძარში, საიდანაც განზრახული აქვთ გადაასვენონ ქალაქ ომსკში, განსაკუთრებულ სარკოფაგში დროებით დასაკრძალავად.

ნიკოლოზ II ცხედარი აქამდე ტყეში ყოფილა ჩაფლული იმ ადგილას, სადაც იგი დახვრიტეს.

**ნეიტრალური ქვეყნები.**

ნეიტრალურ სახელმწიფოებმა ბოლშევიკთა მთავრობას წინადადებით მიმართეს, რომ თუ არ შესწყვეტავთ ოფიცერთა დევნას მოსკოვ-პეტერბურგში, ჩვენც ჩვენს განწყობილებას თქვენდმი შევცვლით, გავცემთ ყველა ბოლშევიკს, რომელიც კი ჩვენს ქვეყანაში მოისურვებს დამალვას და თქვენც პოლიტიკურ მოღვაწეობად აღარ ჩაგთვლითო.

**მემარცხენე სოც.-რევ. პირობა.**

მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერებმა სასტიკი პირობა წაუყენეს ბოლშევიკებს: ან განთავისუფლეთ ჩვენი ამხანაგები, ციხეში რომ გყავთ დატუსაღებულნი, არა და ისეთ ტერრორს გავაჩაღებთ, რომლის მსგავსიც ჯერ არავის უნახავს და არც გაუგონიაო.

ბოლშევიკებმა ჯერ-ჯერობით გაანთავისუფლეს იზმაილოვიჩი და მსტისლავსკი. არ გაუნთავისუფლებიათ სპირიდონოვის ქალი, საბლინი და ლიბერმანი.

**თუმარებელ ხალხის დახვრეტა.**

კრონშტადტში დაუხვრეტიათ თუმარებელი ოფიცრები. ერთ მატროსს უთქვამს: ბოლშევიკ ტროცკის სურს პროტოპოპოვის მსგავს „რევოლიუციის“ განმტკიცებაო. მატროსი სარევოლიუციო სამართალს გადასცეს.

**მილიუკოვი.**

„მოსკოვის უწყება“ სწერს, რომ მილიუკოვი სტოვებს კადეტთა პარტიას და აარსებს ახალს, კონსტიტუციურ-მონარხისტულს-ო.

**ბოლშევიკების ფიცი**

სამხრეთ-დასავლეთის რკინისგზის კომიტეტმა დაამტკიცა ფიცის ტექსტი რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ ხოლმე ამ გზის მუშებმა და ოსტატებმა სიტყვები ასეთია: —„მე, რუსეთის სოც.-ფედერატიულ რესპუბლიკის მშრომელ ხალხის შვილი, სრული შეგნებით და სინდისის კარნახით ხელს ვაწერ და ვადასტურებ, რომ მრწამს საბჭოთა მთავრობა, ვემსახურები მას როგორც პროლეტარიატის და ღარიბ ხალხის ერთად-ერთ მფარველს, და ღ რიბ და პირველ შემთხვევისთვისვე ვადგავ ვიდგ ვ იარაღით ხელში შეუერთდე წითელ ლაშქარს.

პირობას ვიძლევი, რომ მუშაობის დროს უსიტყვოდ ავასრულებ საბჭოთა მთავრობის ყოველ-გვარ განკარგულებებს, სინიდისიერად ვიმუშავებ სრულ 8 საათს, და თუ საჭირო იქნა, მეტსაც ფიცსა ვსდებ, რომ გაუფრთხილდები ხალხის საუნჯეს, როგორც ნივთებს, ისე სამუშაო იარაღს, და მეხსომება რომ ყველა ის, ვინც საბჭოთა ქონებას არ უფრთხილდება, ბოროტმოქმედია და მოღალატე.

**„ხალხის მტრები.“**

კურსკის სამაზრო ყრილობამ, ყველა ბოლშევიკი წითელ-გვარდიელი ხალხის მტრად გამოაცხადა, და სახოფლო საზოგადოებიდან გააძევა.

**ბოლშევიკთა დამხობა**

კურსკიდან და ორიოლიდან იუწყებიან რომ იქ დიდი აჯანყება დაწყობილა ბოლშევიკთა წინააღმდეგ ხოცავენ კომისრებს, ანგრევენ და სწვავენ მიწის კომიტეტებს და სხ.

**მონარხისტთა ყრილობა**

რუსეთში მოხდა მონარხისტთა ყრილობა, სადაც ყოფილა დიდი კამათი იმის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფოებრივი ფორმა უნდა იქმნას აღდგენილი რუსეთში, [illegible] ლიუტურ მონარხიის ან და სამხედრო დიქტატურის [illegible] [illegible] მრისტები და ნაციოლისტების კი კონსტიტუციურ მონარხის იცავდნენ.

ბოლოს შეთანხმდნენ იმაზე, რომ რუსეთში უნდა აღდგენილ იქმნეს ის წესები, რომლებიც რევოლიუციამდე იყო.

**ოდესსა უპუროდ.**

ოდესა უპუროდ იმყოფება. 1/4 გირვანქას აძლევენ სულზე, ბაზარზე გირვანქა პური 4—5 მანეთი ღ ირს.

**მშიერთა ამბოხება.**

სმოლენსკის გუბერნიაში, ქალაქ ვიაზმაში სამი დღის განმავლობაში ამბოხება მძვინვარებდა. ამბოხდა გლეხობა, უპურობით ილაჯ გაწყვეტილი. დაამტვრიეს სასურსათო კომახარიატი. პურის ცარიელი ბეღელი დაწვეს.

**არაყი.**

კურსკის მხარეს, ბოლშევიკთა ადგილობრივ მთავრობას გამოლევია ფულის წყარო, და უკანასკნელ გზასდა დასდგომიან. დაუწყვიათ ძველი რეჟიმის დროიდან დარჩენილ არაყის გაყიდვა. მთელი არაყი ღირს 10 მან. სპირტი—20 მ. პირველ სამ დღეს გაიყიდა იმდენი არაყი, რომ ათიათასი მანეთზე მეტი მოგება დარჩათ.

**ბოლშევიკები.**

ბოლშევიკთა „უწყებაში“ უარყოფენ ცნობას, რომ ზინოვის რეკვიზიცია იმ მოსაზრებით არ ჰხდება, როგორც ხმებსავრცელებენო. ხმებს კი ისეთს ავრცელებენ: ბოლშევიკები ასახლებენ ხალხს ზემო სართულებიდან, რომ ცალიერ ბინებზე ტყვიის-მფრქვევლები მოაწყონ. ამ მიზნით ყველა სახლების ზემო სართულებს კი არ აცლევინებენ, არამედ ზოგიერთს, როგორც კუთხის სახლებისას, მოედნების მახლობლად და „სტრატეგიულ“ პუნქტებზე, კრემლის, არბატის, ლუბიანკას და სხ. მახლობლად.

**მოსკოვში.**

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ იქ, ბოლშევიკთა დიდი ტერრორის გამო, დიდად არის გავრცელებული მასსიური დაპატიმრება. იჭერენ უმთავრესად ოფიცრებს და მოწაფეებს. ბუტირსკის, ტაგანკის და კამენჩიკის ციხეები ტუსაღებით არის სავსე. აძლევენ რადაც შინაურ წვენს ვითომდა სადილად.

ბევრია მათ შორის დაავადმყოფებული. დ ხვრეტაც გახშირეს.

# ლენინის დეკრეტი სომხების შესახებ.

რადგან დავრწმუნდი რომ რუსეთის სოციალისტურ და ფედერატიულ რესპუბლიკის ქალაქებში არსებული სომეხთა ეროვნული საბჭოები, ე. წ. სომხეთის დამცველი საბჭოები და სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტები არიან ბურჟუაზიული ორგანიზაციები, რომლებიც თბილისის სომეხთა ეროვნულ საბჭოს ფილიალ განყოფილებას შეადგენენ, ეს უკანასკნელი კი მოკავშირეა ამიერკავკასიის კონტრ-რევოლიუციურ მთავრობისა; თანაც რადგან ამ ბურჟუაზიულ ორგანიზაციებში შედიან ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერები, რომელნიც აგროვებენ ფულსა და ხალხს, კონტრ-რევოლიუციურ თბილისის სომეხთა ეროვნულ საბჭოს დასახმარებლად, და ბოლშევიკთა წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან, გიცხადებთ.

1) დაკეტილ იქმნეს ყველა ეროვნული საბჭოები, კომიტეტები, და სხვა.

2) ყოველგვარი აქ არსებული დოკუმენტები გადაეცეს სომეხთა კომისარიატს, სახალხო კომისარიატთან რომ არსებობს. ხოლო იქ კი, სადაც ეს საბჭოები არ არსებობენ, გადაეცეს მუშათა და ჯ.-კაცთა საბჭოებს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვ (ლენინი).

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გამომც. მუშათა კავშირის გამგეობა

ქ. ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა № 14.